საქართველოს ტურიზმის განვითარების ასპექტები მსოფლიო ეკონომიკის მდგრადი განვითარების კონტექსტში

"სეუ და მეცნიერება," 2021, # 10 (10), გვ. 59-74;

„SEU & SCIENCE," 2021, # 10 (10), pp. 59-74

ელისაბედ ბალიაშვილი,

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული პერსონალი

აბსტრაქტი

ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი მზარდი და მნიშვნელოვანი დარგია, ტურიზმის განვითარება ზრდის ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებელს, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს ქვეყნის მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას და საკომუნიკაციო სისტემების განვითარებას. საქართველო ამ მხრივ რათქმაუნდა გამოირჩევა, აქვს ძალიან მრავალფეროვანი ბუნებრივი და კულტურული რესურსი და ისწრაფვის ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის, რომელიც აკმაყოფილებს აწმყოს მოთხოვნებს ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნას მომავალი თაობების შესაძლებლობას დააკმაყოფილონ თავიანთი საჭიროებები.

ნაშრომში არგუმენტირებულად არის დასაბუთებული წინამდებარე თემის აქტუალობა, განხილულია მსოფლიოს მდგრადი განვითარების ტენდენციები, ხოლო შემდეგ გაანალიზებული და შეფასებულია რამდენად ესადაგება ჩვენი ქვეყნის ტურიზმის სექტორში მიმდინარე პროცესები იმ პოლიტიკასა და პრინციპებს, რასაც მდგრადი განვითარება მოიაზრებს. სტატიაში აგრეთვე განხილულია საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიის განხორციელებას. დადგენილია ის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული დარგის მდგრად განვითარებას.

ავტორს ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი აქვს საკუთარი შეხედულებები აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით და აქვს მოცემული გარკვეული რეკომენდაციები დარგის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, მდგრადი განვითარების პოლიტიკა, ეკონომიკური მდგრადობა, ეკოლოგიური მდგრადობა, სოციალური მდგრადობა, მდგრადი განვითარების ასპექტები

შესავალი

საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობითა და არსებული ბუნებრივი, ისტორიული თუ კულტურული რესურსებით ტურიზმის განვითარების უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია, რაც საფუძველს გვაძლევს მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის ხელსაყრელი შესაძლებლობები, რომლებსაც ტურიზმის შემდგომი განვითარება გვთავაზობს.

ბოლო წლების მონაცემებით (თუ არ ჩავთვლით, დღევანდელ მსოფლიო პანდემიას, რომელიც დიდი ალბათობით დასრულდება უახლოეს მომავალში) ტურისტული ბიზნესი მსოფლიო მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სწრაფად განვითარებადი დარგია. საერთაშორისო ტურიზმი მიეკუთვნება სამ უმსხვილეს საექსპორტო დარგს, ჩამორჩება მხოლოდ ნავთობის მოპოვებას და ავტომშენებლობას. სხვა წყაროების მიხედვით, ტურიზმი არის მსოფლიო მეურნეობის ყველაზე უფრო რენტაბელური სფერო. ტურიზმის ინდუსტრიის სფეროში დაკავებულია დედამიწის მუშა ძალის დაახლოებით 60%.

დღეს ტურიზმი - ეს არის სახალხო მეურნეობის კომპლექსი, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იქცა სწრაფად განვითარებად დარგად. საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში ტურიზმი არის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული სექტორი, რომლის წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში შეადგენს 15-35%-ს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ: უნგრეთი, ჩეხეთი, ავსტრია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია და სხვა.

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ზემოთაღნიშნული სიკეთეების მიუხედავად, არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ ბუნებრივი თუ რეკრეაციული რესურსის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოყენებამ ძლიერ დააზარალა და ნეგატიურ შედეგამდე მიიყვანა მსოფლიო გარემო და ეს ფაქტი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ინდუსტრიალიზაციის ეპოქის შემდგომ.

საერთაშორისო ტურიზმის ეფექტურად განვითარების პროცესი აღმოჩნდა ისეთი სერიოზული პრობლემების წინაშე, როგორიცაა - ჰაერისა და წყლის დაბინძურების მეტად საგანგაშო დონე, ბუნებრივი და რეკრეაციული რესურსის ამოწურვის საფრთხე, ნეგატიური კლიმატური ცვლილებები და სხვა. სწორედ ამ გარემოებებმა აიძულა თანამედროვე მსოფლიო საზოგადოება, რომ დაეწყო ზრუნვა მომავალი თაობების ჯანმრთელობასა და

კეთილდღეობაზე. შემუშავდა მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელიც გულისხმობს „ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით“.[1]

მეტიც, გლობალიზაციის პროცესში ერთ-ერთი აქტუალური თემა სწორედ მდგრადი განვითარებაა, და ჩვენი ქვეყანაც სრულიად იზიარებს ამ პათოსს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტებიც, რომ:

1. საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც ეკონომიკური ინტეგრირების ხელშეწყობის კუთხით, საქართველო ჩართულია ევროკავშირის სტრატეგიებში, პროგრამებსა და ორგანიზაციებში;
2. გარდა ამისა, ასოცირების შეთანხმების 301-ე პარაგრაფის თანახმად, მხარეები ვალდებულები არიან თავიანთი ურთიერთობები დაამყარონ და გააძლიერონ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით;
3. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, რომელშიც ძირითადი ყურადღება მიმართულია მდგრადი განვითარების პრინციპების უპირატესობებსა და მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობაზე;
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ანხორციელებს სხვადასხვა პილოტ-პროექტებს ევროკავშირის თანადაფინანსებით, რომელიც მიმართულია ეკონომიკის მდგრადი განვითარების პოლიტიკის ზრუნველსაყოფად.

1. მსოფლიოს მდგრადი განვითარების ტენდენციები

საერთაშორისო ტურიზმის ეფექტურად განვითარების პროცესზე ბოლო პერიოდში დიდი ზეგავლენა მოახდინა მდგრადი განვითარების ფენომენმა, რომელმაც დიდწილად შეცვალა საზოგადოების დამოკიდებულება სხვადასხვა ეკონომიკური და სხვა სახის მოვლენების მიმართ.

---

[1][http://www.economy.ge/ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გვ.1, 27 იანვარი, 2021 წელი]

მოდით, დეტალურად განვიხილოთ რა უდევს საფუძვლად მდგრადი განვითარების იდეას, რაში მდგომარეობს მისი არსი, რას გულისხმობს მდგრადი განვითარების პოლიტიკა, შემდგომ კი - გავაანალიზოთ და შევაფასოთ რამდენად ესადაგება ჩვენი ქვეყნის ტურიზმის სექტორში მიმდინარე პროცესები იმ პოლიტიკასა და პრინციპებს, რასაც მდგრადი განვითარება მოიაზრებს.

„მდგრადი განვითარება — საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემაა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.“[2]

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მდგრადი განვითარება ნიშნავს - საზოგადოების, ინდივიდების მიერ არსებული მოთხოვნების ისეთ დაკმაყოფილებას, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალი თაობების ანალოგიურ სურვილს საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. ამ პროცესის ფარგლებში კი განვითარება ხდება რესურსებისადმი ზიანის (ან ნაკლები ზიანის) მიყენების გარეშე, რაც მიიღწევა რესურსების ისეთი მენეჯმენტით, რომლის დროსაც მათი განახლება ხდება ისეთივე სისწრაფით, როგორც გახარჯვა, ან ნელა აღდგენადი რესურსების მოხმარებიდან სწრაფად აღდგენადი რესურსების მოხმარებაზე გადასვლით.

ყველასათვის ცნობილია, რომ ევროკავშირის შექმნის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ეკონომიკის რაც შეიძლება სწაფად განვითარება და ამ პროცესის წარმატებით განსახორციელებად მოიაზრება ვაჭრობის ხელშეწყობა და ბარიერების მოსპობა. ამასთან ერთად, არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოთა საზოგადოების უმრავლესობა პირად დოვლათთან ერთად, დიდ ყურადღებას აქცევს სოციალურ და ეკოლოგიურ მახასიათებლებსაც, რომელთა მხედველობაში მიღებით მიღწეულ იქნა ისეთი ეკონომიკის არსებობა, რომელიც დაფუძნებულია სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპებზე.

---

[2] [/ka.wikipedia.org/wiki/საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გვ. 1, 27 იანვარი, 2021 წელი]

„ბალცეროვიჩს სამართლიანად აქვს აღნიშნული, საზოგადოება სერიოზულად ინტერესდება ეკოლოგიური პრობლემებით მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მშპ 5 ათას დოლარს გადასცდება“.[3]

ევროპული კონსტიტუციით ნათლად არის გამოკვეთილი, რომ მსოფლიო ბაზრის ერთ-ერთი მთავარ ფასეულობასა და დანიშნულებას წარმოადგენს მაღალ კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკის სისტემის არსებობა, რომელშიც თავისთავად მოიაზრება მოსახლეობის სრული დასაქმება და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესება. ეს პროცესი კი უნდა მიმდინარეობდეს გარემოს ხარისხის დაცვითა და სამეცნიერო - ტექნიკური პროგრესის გზით. აქედან გამომდინარე, მდგრად განვითარებას საფუძვლად უდევს - ეკონომიკური, სოციალური და ბუნებრივი გარემოს დაცვის პრინციპები და მეტად მნიშვნელოვანია, რომ მათ შორის დაცული იყოს ბალანსი (საზოგადოების - ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ მოთხოვნათა შორის).

„ეკონომიკური წინსვლა არ უნდა იწვევდეს სოციალურ და გარემოსდაცვით უკუსვლას, სოციალური საფრთხის, დაძაბულობის, უკმაყოფილების ზრდას ან ფიზიკური გარემოს ისეთ დეგრადაციას, რომელიც ადამიანთა ჯანსაღ ცხოვრებას ხელმიუწვდომელს გახდის. ამავე დროს, სოციალური პოლიტიკა არ უნდა იყოს ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი და არც გარემოს დეგრადაციას უნდა იწვევდეს. გარემოსდაცვითი პოლიტიკა კი ხარჯთ-ეფექტური უნდა იყოს“. [4]

სწორედ ეს მიდგომა გახლავთ ფაქტობრივად ევროპის მონაპოვარი და ამდენად, გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ “მდგრადი განვითარების” პარადიგმა (იდეათა და შეხედულებათა ერთობლიობა) დღევანდელი ევროპული კონსტიტუციის უმთავრესი ნაწილი გახდა.

ლოგიკური და მიზანშეწონილია, რომ მდგრადი განვითარების ევროპისეული კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო მდგრადი განვითარების პოლიტიკის გატარებას (ევროკავშირმა 2001 წელს დაამტკიცა მდგრადი განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი და არაერთხელ იქნა შეტანილი კორექტირებები) მიმართულია ისეთი პრობლემური საკითხების (ასპექტების) მოგვარებისკენ, როგორიცაა:

1. სიღარიბე, დასაქმება, სოციალური დაცვა და ჩართულობა;
2. სურსათის უვნებლობა;

---

[3] ლეშეკ ბალცეროვიჩი, „თავისუფლება და განვითარება“. თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა, თბილისი, 2004, გვ. 2

[4] ლ.თოდუა, შ.მურღულია „მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები“, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, თბილისი, 2011, გვ.2

3. გარემოს დაცვა ქიმიკატებისგან;
4. ბიომრავალფეროვნების დაცვა;
5. რესურსების ეფექტურად მოხმარება;
6. სატრანსპორტო პოლიტიკა;
7. სახელმწიფო შესყიდვებში მწვანე პროდუქციის ხელშეწყობა;
8. პრინციპი "დამბინძურებელი იხდის";
9. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა;
10. საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილებათა მიღებაში;

თემის ფორმატი არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული მიმართულება, მაგრამ მაინც შეიძლება დასკვნის გამოტანა, თუ რაოდენ სახიფათოა მდგრადი განვითარების კომპონენტების იგნორირება.

ევროპამ მოახერხა წარმატებით განეხორციელებინა რეფორმები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, რათა დაეცვა მდგრადი განვითარების პრინციპები და ეფექტურად გაეტარებინა შესაბამისი პოლიტიკა, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში, მიუხედავად გარკვეული ძვრებისა, ჩვენს ქვეყანაში კვლავ პრობლემად რჩება ზემოაღნიშნული ასპექტების სათანადოდ გადაჭრა.

2 . საქართველოს მდგრადი განვითარების დადებითი და უარყოფითი ფაქტორები ტურიზმის სექტორში

ახლა კი გავაანალიზოთ და შევაფასოთ რამდენად ესადაგება ჩვენი ქვეყნის ტურიზმის სექტორში მიმდინარე პროცესები იმ პოლიტიკასა და პრინციპებს, რასაც ევროპის მდგრადი განვითარება მოიაზრებს.

ზოგადად, ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია განსაკუთრებით განვითარდა გაეროს კონფერენციის შემდეგ (რიო-დე-ჟანეირო, 1992), რომელიც მიეძღვნა გარემოს დაცვასა და განვითარებას, რის საფუძველზეც შემუშავდა სამოქმედო გეგმა „დღის წესრიგი" (პროგრამა 21) და მისი განხორციელებისათვის მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტზე (იოჰანესბურგი, 2002) გამოიკვეთა მდგრადი განვითარების სამი საფუძველი:

)*ეკონომიკური მდგრადობა* - ეფექტიანი ეკონომიკური საქმიანობაა, რომელიც უზრუნველყოფს სარგებლის გენერირებას საზოგადოების სხვადასხვა დონეზე და კეთილდღეობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საწარმოების და საქმიანობის სიცოცხლისუნარიანობა და ამ უნარის შენარჩუნდება გრძელვადიან პერსპექტივაში;

) *სოციალური მდგრადობა* - რაც ნიშნავს, ადამიანის უფლებების პატივისცემას და საზოგადოების ყველა წევრისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, რისთვისაც საჭიროა სარგებლის სამართლიანი გადანაწილება და ფოკუსირება სიღარიბის აღმოფხვრაზე, ყურადღების გამახვილება ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერებასა და მხარდაჭერაზე, განსხვავებული კულტურისა და ფასეულობების აღიარება და პატივისცემა ნებისმიერი სახის ექსპლუატაციის თავიდან აცილების მიზნით;

) *ეკოლოგიური მდგრადობა* - რაც ნიშნავს, ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით კი არაგანახლებადი და სიცოცხლისათვის აუცილებელი რესურსების შენარჩუნებასა და დაცვას, შესაბამისი ზომების მიღებას ჰაერის, წყლისა და ხმელეთის დაბინძურების მინიმუმამდე შემცირებისათვის, ბიოლოგიური მრავალფეროვნების და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის.

საქართველოში ბოლო ათწლეულებია ტურიზმი სხვა ეკონომიკურ დარგებთან ერთად პრიორიტეტულ სექტორად არის გამოცხადებული, ამდენად, მისი სათანადოდ განვითარებისთვის რიგი ღონისძიებები გატარდა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში. მიუხედავად ამისა, საქართველოს ტურიზმის სექტორში მაინც არსებობს რიგი სერიოზული პრობლემები და ჩვენ ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ, როგორც დადებით, ასევე უარყოფით ასპექტებზე, რომელიც ესადაგება აღნიშნული დარგის მდგრად განვითარებას.

"მდგრადი განვითარების" პარადიგმა როგორც ევროპული, ასევე, საქართველოს კონსტიტუციის უმთავრესი ნაწილი გახლავს.

„ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის მიღება უზრუნველყოფილია კანონით. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით"[5] ნახსენებია საქართველოს კონსტიტუციაში.

საქართველოს საკანონმდებლო ნორმატიულ ბაზაში არსებობს უამრავი კანონი, რომელიც არეგულირებს ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიის განხორციელებას. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ „საქართველოს კანონი კურორტების და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ",

[5][https://matsne.gov.ge/ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 29, გარემოს დაცვის უფლება, 20 იანვარი, 2021 წელი]

რომლის მიზანია საქართველოს ბუნებრივი სამკურნალო რესურსების თვისებების შენარჩუნება და მათი დაბინძურების, გაფუჭებისა და გამოფიტვისაგან დაცვის მიზნით სანიტარული დაცვის ზონების დადგენა. საქართველოს კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, ასევე, საქართველოს კანონი „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, კანონი „გარემოსდაცვის შესახებ“ და ასე შემდეგ. აღნიშნული კანონების მიზანია ხელი შეუწყოს ბუნებრივ გარემოში რეკრეაციის, ეკოტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების სამართლებრივი მექნიზმის ჩამოყალიბებას.

ტურიზმის და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიმართულებით მუშაობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. უწყებამ 2021 წლის იანვრისთვის მოამზადა ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებული რეგულაციები, რომლებიც გაზრდიან მწარმოებელთა გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას. ცნობილია, რომ ჰაერის დაბინძურებას ძირითადად იწვევს - ტრანსპორტი და სამრეწველო ობიექტები. „სამინისტრომ მოამზადა ძალიან მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივა, რაც საწარმოების სათანადო ფილტრაციის სისტემებით აღჭურვას და ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემის დანერგვას ითვალისწინებს. ახალი რეგულაციების შემოღება უზრუნველყოფს სამრეწველო სექტორიდან გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას.”[6]

საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და 2014 წელს გამოსცა მეტად საჭირო დოკუმენტი სახელწოდებით „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“, რომელშიც დასახულია ტურიზმის და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანი ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, რათა მოხდეს მათი საერთაშორისო ნორმების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამასთან ერთად, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „გლობალური დათბობით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგების აღმოსაფხვრელად გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფონდებიდან (მწვანე კლიმატის ფონდი, გლობალური გარემოს დაცვის ფონდი და სხვ) მოზიდული იქნება კონვენციით განსაზღვრული გარემოსდაცვითი ინვესტიციები. საქართველოს საერთაშორისო და რეგიონულ სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაციის მიზნით, განხორციელდება

[6] [https://mepa.gov.ge/ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გვ. 1, 20.01.2021]

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული ღონისძიებები და საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროპულ ნორმებთან".[7]

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შედგენილ წინამდებარე დოკუმენტში გაანალიზებულია და დასახულია ქმედითი ღონისძიებები ყველა იმ ასპექტის მოგვარებისა, რომელსაც ითვალისწინებს ევროპის მდგრადი განვითარების პოლიტიკა.

როგორც ვხედავთ, საქართველოს საკანონმდებლო ბაზაში და შესაბამის სახელმწიფო უწყებებში გათვალისწინებულია მსოფლიო და ევროპული პათოსი იმ პოლიტიკისა და პრინციპებისა, რასაც მდგრადი განვითარება მოიაზრებს. მაგრამ სამწუხაროდ გვიჩნდება განცდა იმისა, რომ ეს ყველაფერი დეკლარირებულ ხასიათს ატარებს.

დღევანდელი არსებული რეალობა საპირისპიროზე მეტყველებს. ქვეყანაში კვლავ არსებობს ნეგატიური ფაქტორები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ტურიზმის მდგრად განვითარებას და დარღვეულია ბალანსი საზოგადოების - ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ მოთხოვნათა შორის. კერძოდ კი:

1. საქართველოს ტურიზმის ინდუსტიაში არსებულმა ვითარებამ ნათლად დაგვანახა, რომ ეკონომიკურმა საქმიანობამ, რომელიც ხორციელდება ამ სფეროში ვერ შეძლო სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება გრძელვადიან პერსპექტივაში და ყოველივე ამის მიზეზი მსოფლიოში ცნობილ ეპიდემიასთან ერთად, გახლავთ მნიშვნელოვნად გაუარესებული ქვეყნის საინვესტიციო და ბიზნეს-გარემო;

2. არც სოციალური მდგრადობის კუთხით (რომელიც მოიაზრებს საჭირო სარგებლის სამართლიან გადანაწილებას და ფოკუსირებას სიღარიბის აღმოფხვრაზე, აგრეთვე, ყურადღების გამახვილებას ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერებასა და მხარდაჭერაზე) არის სახარბიელო მდგომარეობა ქვეყანაში. მდგრადი ეკონომიკური განვითარების ფონზე საქართველოს მოსახლეობას უკვე უნდა ჰქონდეს კეთილდღეობა და ღირსეული ცხოვრების პირობები, მაგრამ ფაქტია, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტი ღარიბ-ღატაკია, ხოლო ცხოვრების ღირსეული პირობები ალბათ 15-20 %-ს (მდიდარი ფენა) თუ გააჩნია. ამ დროს საქართველოს მთავრობა და მასზე მომუშავე „საქსტატი" გვისაბუთებს, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და მათ შორის ტურიზმის სექტორი იზრდება. ალოგიკურია ის ფაქტი, რომ თუ ეს მართლაც ესეა, რატომ არ მცირდება სიღარიბე ქვეყანაში.

---

[7] [http://www.economy.ge/ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველ 2020", თბილისი, 2014, გვ. 39- 40.]

გარდა ამისა, საქართველოში ბოლო წლებია მკვეთრად გაუარესდა კრიმინოგენური ვითარება, რაც ნეგატიურად აისახება ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

შსს-ს ბოლო მონაცემებით 2018 წლის იანვარი-ივლისი (7 თვე) პერიოდში, საქართველოში რეგისტრირებულმა დანაშაულმა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 55,8%-ით (11 840 შემთხვევით) მოიმატა, ხოლო გახსნის პროცენტულმა მაჩვენებელმა 17,2%-ით იკლო.

„2018 წლის მხოლოდ საწყისი 7 თვის განმავლობაში დარეგისტრირდა დაახლოებით 33 ათასი დანაშაული, მაშინ როდესაც 2014-2017 წლებში მთლიანი წლის განმავლობაში დაფიქსირებულ დანაშაულთა რიცხვი 35 ათასიდან-38 ათასამდე მერყეობდა. 2014-2017 წლებში სტაბილურობით გამოირჩეოდა ასევე, საქმეების გახსნის მაჩვენებელი, რაც 53%-დან 60 %-მდე მერყეობდა. ეს ციფრიც, 2018 წლის განმავლობაში მკვეთრად გაურესდა და მხოლოდ 36,67% შეადგინა“[8] აღნიშნულია ვებ-გვერდზე. 2021 წლის მონაცემებითაც სიტუაცია კვლავ საგანგაშოა.

საფრთხის შემცველია აგრეთვე ტურისტების გადაადგილება მაღალმთიან რეგიონებში, სადაც უნიკალური კურორტები და საკურორტო ადგილებია. მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და გაუმართავი ავტო-ტრანსპორტი არაერთხელ ყოფილა ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში ფატალური შედეგის დადგომის საფუძველი.

რაც შეეხება ტურიზმის მდგრადი განვითარების ეკოლოგიურ ასპექტებს აქაც პრობლემებია და ქვეყნის მთავრობამ და შესაბამისმა ორგანოებმა მკაცრი რეგულაციები უნდა გაატარონ - ჰაერის, წყლისა და ხმელეთის დაბინძურების მინიმუმამდე შემცირებისათვის. აგრეთვე, მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობამ მეტად იზრუნოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის, რომლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს ტყეების დაცვა წარმოადგენს. „ევროპის ტყეების პრაქტიკულად მთელი ტერიტორია მდგრადი მართვისა და სერტიფიცირების სქემებით არის მოცული, ტყეების 25%კი საერთოდ გამორიცხულია ხე-ტყის მოპოვების საქმიანობისგან“.[9] საქართველოში კი დღემდე მიმდინარეობს უკანონო და უკონტროლო ხე-ტყის მოპოვება, რის შედეგადაც ტყეების დიდი ნაწილი ჩანაგდება და ზარალის ზუსტი აღრიცხვა-შეფასება დღემდე არ მომხდარა.

---

[8] [https://idfi.ge/ge ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის IDFI. 20. იანვარი, 2021]

[9] ლია თოდუა, შოთა მურღულია „მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები“, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, თბილისი, 2011, გვ. 75.

ჰაერის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად საქართველოში 2019 წლიდან დაიწყო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესი, რომლის დროსაც ავტომობილი რამდენიმე კრიტერიუმით მოწმდება და ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი გამონაბოლქვში CO-ს მაჩვენებელია. მაგრამ პრობლემა ნახევრად მოგვარებულია, რადგან ქვეყანაში კვლავ ადგილი აქვს უხარისხო საწვავს, რომელიც აბინძურებს გარემოს და საფრთხეს უქმნის როგორც ტურისტებს, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას. გამართული ტრანსპორტი აგრეთვე არის გარანტი იმისა, რომ შემცირებული იქნას ავტოსაგზაო შემთხვევები და ამით უზრუნველყოფილი იყოს ტურისტების უსაფრთხო გადაყვანა დანიშნულების ადგილამდე. 2007 წლის მონაცემების მიხედვით, „ევროპის რეგიონში ავტოსაგზაო ტრავმატიზმით სიკვიდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე 10 ქვეყანას შორის საქართველოს მე-9 ადგილი ეკავა და სიკვდილიანობის კოეფიციენტი შეადგენდა 16.8 (100 000 მოსახლეზე გადაანგარიშებით).[10]

მეტად საყურადღებოა აგრეთვე წყლისა და ხმელეთის დაბინძურება. სამწუხაროდ საქართველოში არსებობს ქალაქები, სადაც მდინარეში და ზღვაში დღესაც ჩადის ჩამდინარე ბინძური წყლები. 2009 წლის მაისიდან, საბანაო სეზონის განმავლობაში, გარემოს ეროვნული სააგენტო აწარმოებს სარეკრეაციო ტბების (კუს ტბა, ლისის ტბა, თბილისის ზღვა) წყლის მიკრობიოლოგიურ ანალიზს. თუმცა ეს მონიტორინგი არასრულყოფილია როგორც მეთოდოლოგიურად (კრიტიკული წერტილებისა და მაჩვენებელბის შერჩევა), ასევე რაოდენობრივად (არასაკმარისი კვლევების ჯერადობა და სიხშირე). მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი 2000 წლიდან შეჩერდა და დღემდე არ აღდგენილა.

როგორც ვხედავთ საქართველოს ტურიზმის სფეროში მდგრადი განვითარების მიმართულებით პრობლემები არც თუ ისე ცოტაა, რათა დაცული იყოს ბალანსი საზოგადოების - ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ მოთხოვნათა შორის და ამის საფუძველზე მოხდეს ჩვენი ქვეყნის ტურიზმის სექტორის ინტეგრირება მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

დასკვნა

წინამდებარე სტატიაში განხილულ იქნა მსოფლიო ეკონომიკის მდგრადი განვითარების ევროპისეული პრინციპები, მიდგომები და პოლიტიკა. ყურადღება გამახვილდა იმ ასპექტებზე, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის.

---

[10][https://www.ncdc.ge/ საქართველოში გარემოს ჯანმრთელობის სფეროში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა და შეფასება, თბილისი, 2011; გვ. 28.

გაანალიზებულ იქნა საქართველოს საკანონმდებლო ბაზაში არსებული ის კანონები, რომლებიც არეგულირებს ტურიზმის სექტორს ჩვენს ქვეყანაში.

სტატიაში დასაბუთებულია თუ რამდენად სახიფათოა მდგრადი განვითარების კომპონენტების იგნორირება. საქართველომ შეიმუშავა მდგრადი განვითარების სტრატეგია და დაიწყო ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პროცესში გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემატიკის გათვალისწინება, თუმცა მაინც არსებობს რიგი უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ტურიზმის მდგრად განვითარებას და დარღვეულია ბალანსი საზოგადოების - ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ მოთხოვნათა შორის.

ეკონომიკური ზრდის შედეგებიც არ ასახულა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილზე და ვერც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლებლების შემცირებაზე.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020, პროგრამა ამოქმედებულია, მოსახლეობა ინფორმირებულია თუ რას აპირებს ამ მიმართულებით ქვეყნის მთავრობა, მხოლოდ არ იცის როგორ, რა გზებითა და რა საშუალებებით უნდა მიაღწიოს უმუშევრობის 12 %-მდე შემცირება, მთლიანი შიდა პროდუქტის 13000 ლარამდე გაზრდა (ორივე კომპონენტი ამ პროგრამაშია ჩადებული) იმ პირობებში როცა:

1. აგერ უკვე ერთი წელია გამოცხადებულია ლოგდაუნი და ტურიზმის სექტორი პრაქტიკულად სტაგნირებულია;
2. ეკონომიკის 4,5%-იანი დაგეგმილი ზრდა ქვეყნის მთავრობამ ჯერ კიდევ 2015 წელს 2,5 %-ზე ჩამოიყვანა და ლარის კატასტროფულმა გაუფასურებამ დოლართან მიმართებაში მისი შესრულებაც კი საეჭვო გახადა.

ამდენად, ქვეყნის მთავრობამ სასწრაფოდ უნდა დასახოს ის მასტიმულირებელი ქმედითი ღონისძიებები, რომელიც ამ დარგს გადაარჩენს, მხოლოდ ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებული რეგულაციები ვერ უზრუნველყოფს საქართველოს ტურიზმის მდგრად განვითარებას, თუ არ იქნა გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები.

ბიბლიოგრაფია

1. http://www.economy.ge/ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; 27 იანვარი, 2021 წელი
2. https://mepa.gov.ge/ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 20.01.2021;
3. http://www.economy.ge/ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველ 2020“, თბილისი, 2014;
4. https://matsne.gov.ge/ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 29, გარემოს დაცვის უფლება, 20 იანვარი, 2021 წელი;
5. https://idfi.ge/ge ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის IDFI. 20. იანვარი, 2021;
6. https://www.ncdc.ge/ საქართველოში გარემოს ჯანმრთელობის სფეროში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა და შეფასება, თბილისი, 2011;
7. ლია თოდუა, შოთა მურღულია „მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები“, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, თბილისი, 2011;

Bibliography

1. http://www.economy.ge/ Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia; January 27, 2021;
2. https://mepa.gov.ge/ Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia, 20.01.2021;
3. http://www.economy.ge/ Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. "Georgian Socio-Economic Development Strategy Georgia 2020", Tbilisi, 2014;
4. https://matsne.gov.ge/ Constitution of Georgia, Article 29, Right to Environmental Protection, January 20, 2021;
5. https://idfi.ge/ge IDFI of the Institute for Development of Freedom of Information. January 20, 2021;

6. https://www.ncdc.ge/ Review and assessment of the current state of environmental health in Georgia, Tbilisi, 2011;
7. Lia Todua, Shota Murghulia "Sustainable Development and Reforms of Georgia", Georgian Center for Strategic Research and Development, Tbilisi, 2011;

Abstract

Tourism is one of the growing and important sectors of the economy, the development of tourism increases the economic index of the country, creates new jobs, helps to raise the cultural level of the country's population and develop communication systems. Georgia certainly stands out in this respect, it has a very diverse natural and cultural resources and strives for the sustainable development of tourism that meets the demands of the present so as not to jeopardize the ability of future generations to meet their needs.

The paper argues the relevance of this topic, discusses the trends of sustainable development in the world, and then analyzes and assesses the compliance of current processes in the tourism sector of our country with the policies and principles of sustainable development. The article also discusses the legislation of Georgia, which regulates the implementation of the strategy of sustainable tourism development. The positive and negative factors that ensure the sustainable development of this field are identified.

In the concluding part of the paper, the author presents his views on this topic and has some recommendations to ensure the sustainable development of the field.

keywords: sustainable development, Sustainable Development Policy, Economic sustainability, Ecological sustainability, Social sustainability. Aspects of sustainable development